GEORGIAN EMPLOYERS ASSOCIATION

ოქტომბერი, 2017

NEWSLETTER

- ბელორუსიის ელჩი დამსაქმებელთა ასოციაციაში იმყოფებოდა
- შრომის უსაფრთხოების მენეჯერების გადასამზადებელი გრძელვადიანი კურსები დაიწყო
- სერვისების ახალი პაკეტი SME სექტორისთვის
- პროფესიული განათლებისა და სწავლების პროექტის პარტნიორებს შორის შეხვედრა გაიმართა

GEORGIAN EMPLOYERS ASSOCIATION

ბელორუსიის ელჩი დამსაქმებელთა ასოციაციაში იმყოფებოდა

25 ოქტომბერს, ბიზნეს გაერთიანება „საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციაში“ გაიმართა შეხვედრა ასოციაციის მმართველ გუნდსა და საქართველოში ბელორუსიის ელჩ მიხეილ მიატლიკოვს შორის.

შეხვედრა მიზნად ისახავდა საქართველოს და ბელორუსიას შორის სავაჭრო ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებას. შეხვედრაზე ორივე მხარემ გამოთქვა მზადყოფნა სამომავლო თანამშრომლობის შესახებ. კერძოდ კი, დაიგეგმა შემდეგი აქტივობები. უახლოეს მომავალში დამსაქმებელთა ასოციაციისა და ბელორუსიის საელჩოს ორგანიზებით დაიწყება ბიზნეს დელეგაციების ვიზიტი ორივე მიმართულებით.

გარდა ამისა, ინფორმაციის გაცვლისა და საქმიანი ურთიერთობების გაძლიერების მიზნით დაიგეგმა სისტემატური სამუშაო შეხვედრების ორგანიზება საელჩოსა და ასოციაციას შორის, რომელში მონაწილეობის მიღების საშუალება ექნებათ ასოციაციის წევრ კომპანიებს. მსგავსი ტიპის სამუშაო შეხვედრებში ჩართულობა საქმიანობის არეალის გაფართოებისთვის მნიშვნელოვანი შესაძლებლობაა ბიზნეს სექტორისთვის.

აღსანიშნავია, რომ შეხვედრაზე განიხილეს საქართველო-ბელორუსიის ბიზნეს საბჭოს შექმნის იდეა, რომლის განხორციელებაზე მუშაობა ახლო მომავალში დაიწყება.

საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია აქტიურად თანამშრომლობს როგორც საელჩოებთან, ისე საერთაშორისო ბიზნეს გაერთიანებებთან, რათა წევრ კომპანიებს შესთავაზოს ბიზნესის გაფართოების არაერთი საშუალება.

შრომის უსაფრთხოების მენეჯერების გადასამზადებელი გრძელვადიანი კურსები დაიწყო

საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის ორგანიზებით შრომის უსაფრთხოების მენეჯერების გადასამზადებელი გრძელვადიანი ტრენინგ კურსი დაიწყო, რომელიც დამსაქმებელთა ასოციაციის აღმასრულებელმა დირექტორმა ლაშა ლაბაძემ და ჯანდაცვის სამინისტროს შრომისა და დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე პაატა ჟორჟლიანმა გახსნეს.

აღნიშნული სატრენინგო კურსზე მოთხოვნა გაიზარდა მას შემდეგ, რაც საქართველოს მთავრობამ ევროკავშირის მოთხოვნების საფუძველზე შექმნა შრომის ინსპექტირების დეპარტამენტი და გაამკაცრა რეგულაციები ამ მიმართულებით. საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია ითვალისწინებს იმ გამოწვევებს, რომლის წინაშეც აღმოჩნდენ კომპანიები და აძლიერებს თანამშრომლობას კერძო სექტორთან შრომის უსაფრთხოების მიმართულებით.

ტრენინგის პირველი მოდული, ეხებოდა პირველად სამედიცინო დახმარებას, რომელის გავლის შედეგად მონაწილეები განივითარებენ პირველადი დახმარებისათვის

აუცილებელ უნარ-ჩვევებს და გადაუდებელი სიტუაციების შემთხვევაში შეძლებენ პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევას.

ტრენინგს 25 კომპანიის შრომის უსაფრთხოების მენეჯერი ესწრება და მათ შესაბამისი ტესტის გავლის შედეგ გადაეცემათ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის საერთაშორისო ტრენინგ ცენტრის (ITC ILO) და საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის (GEA) სერტიფიკატი.

ტრენინგი ორთვიანია და მას საერთაშორისო სერთაშორისო კვალიფიკაციის ტრენერები და ექსპერტები უძღვებიან.

სერვისების ახალი პაკეტი SME სექტორისთვის

ბიზნეს გაერთიანება საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია 2016 წლიდან გერმანიის ხელისუფლების მხარდაჭერით ახორციელებს პროფესიული განათლებისა და სწავლების პროექტს, რომლის ფარგლებშიც ჩატარდა წევრ კომპანიებში კადრების საჭიროების კვლევა და, პარალელურად, განხორციელდა არაერთი აქტივობა პროფესიული განათლების პოპულარიზების მიმართულებით.

პროექტის მიმდინარეობის შეფასების შედეგად ასოციაციამ დაიწყო მუშაობა სერვისების პაკეტის შემუშავებაზე, რომელიც მიეწოდება მცირე და საშუალო ზომის კომპანიებს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის გაძლიერების ხელშესაწყობად.

მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის სერვისების შემუშავების ინიციატივის მთავარ საფუძველს წარმოადგენს პროექტის მიმდინარეობის პროცესში დანახული ისეთი საკითხების სიმწვავე, როგორებიცაა:

• მცირე და საშუალო წარმოების განვითარებისათვის სათანადო კვალიფიციური ადამიანური რესურსის არსებობა და ამ მიზნით მათი მოძიების პრობლემატიკა;

• ახალ ტექნოლოგიებსა და ინოვაციურ მიდგომებზე შესაბამისი საკადრო პოლიტიკის მორგება და მისი განვითარება;

• ახალგაზრდა მოქალაქეებისადმი საკუთარი სამეწარმეო საქმიანობის დაინტერესება და მათი მოზიდვა განვითარებისათვის;

ზემოთ ჩამოთვლილის პრობლემების მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, ცხადია, მხოლოდ საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის ძალებით შეუძლებელია გამოწვევების მიმართ ჯეროვანი გამკლავება, ამიტომ ასოციაციამ მოიწვია დაინტერესებული მხარეები (ბიზნეს გაერთიანებებს, სამინისტროებს, პროფკავშრებს,

საგანმაათლებლო დაწესებულებებსა და კომპანიებს), რათა ერთობლივი ძალებით მოხდეს სერვისის შექმნა და პილოტურ რეჟიმში მისი განხორციელება, რაც გულისხმობს პასუხიმგებლობების გადანაწილებას სერვისის მიწოდების პროცესში.

სერვისების ერთობლივი პაკეტის შემუშავების იდეის გარშემო 1 ნოემბერს საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციაში გაიმართა დაინტერესებული მხარეების შეხვედრა.

შეხვედრაზე, დამსაქმებელთა ასოციაციამ ასევე, წარმოადგინა ამ მიმართულებით გერმანული პროექტის ფარგლებში მიღებული შუალედური შედეგების კონკრეტული პარამეტრებს პარტნიორებთან გამოცდილების გაზიარებისა და შემდგომში ამ შედეგების ერთობლივად გაუმჯობესების შესაძლებლობების განხილვის მიზნით.

შეხვედრის შედეგად სერვისის შემუშავებასა და ადმინისტრირებაში ჩართულობის მზადყოფნა გამოხატეს სოციალურმა პარტნიორებმა და დაგეგმეს სამომავლოდ კონკრეტული ქმედებები, რაც უზრუნველყოფს SME სექტორისთვის უახლოეს მომავალში ახალი, ეფექტური სერვისების პაკეტის შეთავაზებას.

პროფესიული განათლებისა და სწავლების პროექტის პარტნიორებს შორის შეხვედრა გაიმართა

პროფესიული განათლებისა და სწავლების პროექტის ფარგლებში, რომელსაც სამხრეთ კავკასიის ქვეყნები გერმანიის ხელისუფლების მხარდაჭერით ახორციელებენ, გაიმართა სამუშაო შეხვედრა მთავარ პარტნიორებს შორის.

პროექტის მხარეებს შორის (პროექტის დონორი გერმანული მხარე, საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია, სომხეთისა და აზერბაიჯანის ბიზნეს გაერთიანებები) დამსაქმებელთა ასცოციაციაში გამართული სამუშაო შეხვედრა შემდეგ მიზნებს ისახავდა:

- პროექტის მხარეების მიერ მიმდინარე სიტუაციის შეფასება;
- პროექტის მიზნებისა და ინდიკატორების შესრულების შეფასება;
- პროექტის მიმდინარეობის პროცესში გამოკვეთილი საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება მხარეებს შორის;

მხარეებს შორის სამუშაო შეხვედრა ორდღიანია და 19 ოქტომბერს საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის საკონფერენციო დარბაზში 2018 წლისათვის დასახული მიზნების მისაღწევად შემდგომი ნაბიჯები განისაზღვრება. ასევე, იმსჯელებენ 2018 წლის მარტში დაგეგმილი საერთაშორისო კონფერენციის შესახებ, რომელიც პროექტის ფარგლებში გაიმართება.

აღსანიშნავია, რომ პროექტი სამწლიანია და მას საქართველოში 2016 წლიდან წლიდან ახორციელებს „საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია“.

ტრენინგი თემაზე:
სახანძრო უსაფრთხოება და ხანძართან ბრძოლა

ბიზნეს გაერთიანება „საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის“ (GEA) ორგანიზებით 13 ოქტომბერს გაიმართა ტრენინგი შრომის უსაფრთხოების საკითხებში, კერძოდ, თემაზე „სახანძრო უსაფრთხოება და ხანძართან ბრძოლა“.

ტრენინგს უძღვებოდა ასოციაციის შრომის უსაფრთხოების ცენტრის ILO–ს (შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის) სერტიფიცირებული ტრენერი დავით ჩიჯავაძე.

ტრენინგის მიზანს წარმოადგენდა კომპანიებისათვის საწარმოებში არსებული სახანძრო საფრთხეების გამოვლენის მეთოდების შესწავლა, ასევე სახანძრო უსაფრთხოების იმ აუცილებელი ინსტრუქციებისა და პროცედურების შესწავლა, რომელიც უნდა ჰქონდეს შემუშავებული ნებისმიერ კომპანიას, მიუხდავად მისი სიდიდისა.

ასეთი სისტემის გამოყენება საშუალებას იძლევა თავიდან იქნეს აცილებული ის რისკები და საფრთხეები, რომლებიც შეიძლება გამოიწვიოს ხანძრის შედეგებმა. სახანძრო უსაფრთხოების სისტემის დანერგვისა და სწავლების მიზანია უზრუნველყოს დასაქმებულთა ჯანმრთელობის და კომპანიის ქონების დაცვა.

ტრენინგის შემდეგ მონაწილეებმა უნდა შეძლონ სახანძრო უსაფრთხოების სისტემის დანერგვა და საევაკუაციო სქემების შემუშავება.

ტრენინგს ესწრებოდნენ საწარმოების/ორგანიზაციების ტექნიკური მენეჯერები და სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი სპეციალისტები.

ტრენინგის დასასრულს მონაწილეებს გადაეცათ GEA-ს სერტიფიკატები.

ტრენინგის თემაკიტა განსაკუთრებით აქტუალურია 2015 წლის 2 მარტს საქართველოს მთავრობის #81 დადგენილების საფუძველზე შრომის პირობების ინსპექტირების

დეპარტამენტის შექმნის შემდეგ, რომლის მიზანია ორგანიზაცია-დაწესებულებებში შრომის უსაფრთხოების არსებული პირობების ინსპექტირება.

ბიზნეს გაერთიანება GEA წევრ და პარტნიორ კომპანიებს სისტემატურად სთავაზობს კადრების გადამზადებას იმ რეგულაციების შესაბამისად, რომლებსაც საქართველოს მთავრობა ადგენს ევროდირექტივების საფუძველზე.

პროფესიული განათლებისა და სწავლების პროექტის ფარგლებში გერმანულ მხარესთან მორიგი შეხვედრა გაიმართა

საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციაში პროფესიული განათლებისა და სწავლების პროექტის ფარგლებში მნიშვნელოვანი შეხვედრა გაიმართა, რომელსაც ესწრებოდნენ გერმანიის ფედერალური სესპუბლიკის საელჩოს ეკონომიკური ატაშე თომას შოლი, გერმანიის ეკონომიკური გაერთიანების (DWV) დირექტორი ოლივერ რეგნერი, GIZ-ის სამხრეთ კავკასიაში კერძო სექტორის განვითარების, ტექნიკური პროფესიული განათლებისა და ტრენინგების ექსპერტი ჯოანის ფლიშლე, პროექტის გრძელვადიანი ექსპერტი დირკ რონეკე, საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი მიშა კორძახია და პროექტის მენეჯერი საქართველოში ელენე მახარაძე.

შეხვედრაზე პროექტის მენეჯმენტმა გერმანიის საელჩოს, GIZ-ისა და გერმანიის ეკონომიკური გაერთიანების წარმომადგენლებს წარუდგინა პროექტის მიზნები, შინაარსი, მიმდინარეობა და შედეგები. ასევე, იმსჯელეს სამომავლოს პროექტის განვითარებისა და პერსპექტივაში მათი ჩართულობის შესახებ.

აღსანიშნავია, რომ პროფესიული განათლებისა და სწავლების პარნიორობის პროექტი სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში წარმოადგენს გერმანიის ხელისუფლების მხარდაჭერილი მიდგომას სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში დამსაქმებელთა გაერთიანებების პროფესიული განათლების სისტემით დაინტერესების გასაძლიერებლად. პროექტის კონცეპტუალური მიდგომები შემუშავებულია გერმანული მხარის მიერ საქართველოში განათლების სისტემისა და ბიზნეს სუბიექტების მრავლაწლიანი დაკვირვებისა და ანალიზის საფუძველზე.

პროექტი სამწლიანია მის მენეჯმენტს საქართველოში საქარველოს დამსაქმებელთა ასოციაცია ახორციელებს.

შეხვედრა საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციაში გაიმართა.

ყურღანის ოლქის ბიზნეს დელეგაციას საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციამ უმასპინძლა

23 ოქტომბერს, ბიზნეს გაერთიანება „საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციაში“ გაიმართა საქმიანი შეხვედრა ყურღანის ოლქის ბიზნესმენებსა და ასოციაციის წარმომადგენლებს შორის.

დელეგატებს შორის იყვნენ გაზისა და წყლის სისტემებისა და საგზაო მშენებლობის ტექნიკის მწარმოებლები და მცირე და საშუალო ექსპორტიორთა ასოცოციაციის წარმომადგენლები. კერძოდ, შეხვედრას ესწრებოდნენ შემდეგი კომპანიების პირველი პირები - ООО "Шадринский электродный завод", ООО "Торговый дом "Курганский завод дорожных машин", ООО "Темпер", ООО Консалтинговая компания «Деларей», ООО "Завод дорожной техники "Регион 45".

შეხვედრაზე მხარეებმა ერთმანეთს წარუდგენიეს თავიანთი კომპანიების საქმიანობის შესახებ ინფორმაცია და სამომავლო გეგმები, განიხილეს პოტენციური თანამშრომლობის მიმართულებები და დასახეს ერთობლივი მიზნები.

აღსანიშნავია, რომ მსგავსი სახის შეხვედრებით ასოციაცია წევრ ადგილობრივ კომპანიებს სთავაზობს ბიზნეს საქმიანობის არეალის გაფართოებას.

შეხვედრა „ყურღანის ოლქის ბიზნეს ინკუბატორის“ და „საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის“ ორგანიზებით გაიმართა.

სიმულაციური სახლის მშენებლობა დუშეთში

„ბიზნეს გაერთიანება საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის“ ორგანიზებით 15 ოქტომბერს დუშეთის საჯარო სკოლების მოსწავლეებისთვის გაიმართა ღონისძიება სახელწოდებით: „პროფესიული უნარების გამომუშავება პრაქტიკაში - პროფესიულ სახლში სიმულაციური მაგალითების გამოყენებით“.

აქტივობა გერმანიის ხელისუფლების მხარდაჭერით მიმდინარე პროექტის - „პროფესიული განათლებისა და სწავლების პარტნიორობის პროექტის სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში“ ფარგლებში.

ღონისძიების მიზანს წარმოადგენდა დუალური სწავლების პოპულარიზება და სკოლის მოსწავლეების დაინტერესება პროფესიული განათლებით. ამ მიზნით დუშეთის რამდენიმე სკოლის მოსწავლეებმა გაიარეს სიმულაციური პრაქტიკის სამუშაოები კონკრეტული უნარების გაცნობის მიზნით, რათა უშუალოდ პროფესიასთან შეხებით დაინტერესებულიყვნენ პროფესიული განათლების მიღებით.

აღსანიშნავია, ღონისძიების უპრეცედენტო ფორმატი, რომელიც გულისხმობს სკოლის მოსწავლეების მიერ ინსტრუქტორების დახმარებით სიმულაციური სახლის მშენებლობასა და რემონტს.

პროექტის მიზნებიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია ბიზნეს სექტორის ჩართულობა, როგორც კონკრეტული ღონისძიების, ასევე მთლიანად პროექტის მიმდინარეობის პროცესში. პროექტის მხარდამჭერები არიან კომპანიები „ნოვა“, „გუდვილი“, „ახალი ნათება“, „მინა“ და „დიო“.

ბიზნეს გაერთიანება

საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია

საკონტაქტო ინფორმაცია:

0159, თბილისი, ა. ბელიაშვილის ქ. #8

T: +995 32 2 14 73 73

M: +995 579 555 551

E: employer@employer.ge

www.employer.ge